

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა
სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით



თამთა ჩუბინიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

თემის ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამთა ჩუბინიძე

04 ივლისი, 2021

აბსტრაქტი

დღესდღეობით, საქართველოში, ოჯახში და ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. თითქმის ყოველდღე საჯაროვდება ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ, რაც ზოგჯერ მკვლევლობით სრულდება. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ აღნიშნული ძალადობრივი დანაშაულები საჭიროებენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია თუ რა საფრთხის წინაშე დგას ძალადობის მსხვერპლი, იმ ხარვეზების გამო, რაც არსებობს დღევანდელ კანონმდებლობაში. მნიშვნელოვან მიმართულებას აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და მათი როგორც სამართლებრივ ჭრილში განხილვა, ასევე საზოგადოებაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფენომენის და ამ უკანასკნელის მოგვარების გზების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კვლევის მიზანია დაადგინოს რამდენად ეფექტურია არსებული სისხლისსამართლებრივი მექანიზმები და მოცემული პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია თუ არა მათი გამკაცრება. ერთის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ძალადობის პრევენციას და პარალელურად, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება, მსხვერპლთა გაძლიერება და მოძალადეთა მიმართ ქცევის კორექციის პროგრამების განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, მსხვერპლი, სისხლისსამართლებრივი მექანიზმები.

Abstract

Domestic violence and violence against women is a serious problem in Georgia today. Information about women and domestic violence is made public almost every day, sometimes leading to murder. Therefore, it is clear that these violent crimes need special attention from the state and society.

This paper shows the dangers posed to victims of violence due to the shortcomings that exist in current legislation. An important direction to solve this problem is to take preventive measures and discuss them in a legal context, as well as to raise awareness about the phenomenon of violence against women in the society and domestic violence and ways to solve the latter.

The aim of the study is to determine the effectiveness of existing criminal mechanisms and whether it is necessary to tighten them to eliminate a given problem. On the one hand, it should be noted that the use of criminal mechanisms alone cannot ensure the prevention of violence, and at the same time, it is important to raise awareness, empower victims, and implement programs to correct the behavior of perpetrators.

Keywords: Domestic violence, Violence against women, Victim, Criminal mechanisms

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, გოგა ხატიაშვილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეულ ლექტორს, რომელიც ჩემთან ერთად ბოლომდე იყო ჩართული წინამდებარე ნაშრომის წერის პროცესში და ცდილობდა ჩემი ნაშრომი ყოფილიყო სრულყოფილი. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო თინათინ თურქიას, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსის „აკადემიური წერა იურისტებისთვის“ ლექტორს, რომლის დახმარებითაც მაქვს ცოდნა, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა დაიწეროს სამეცნიერო ნაშრომი. მსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახის წევრებს და მეგობრებს, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის პერიოდში მამხნეებდნენ, მაძლევდნენ რჩევებს და ასევე იყვნენ ძალიან კარგი მოტივატორები, ნაშრომი საბოლოო წერტილამდე მიმეყვანა იმ შემართებით, რა შემართებაც სჭირდება ნაშრომის თემის სწორად გაანალიზებას.